

ლევან ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 2014

ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

ლევან ხარანაულის ავტორობით გამოცემული მონოგრაფია ეხება დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობას და წარმოადგენს შედარებით-სამართლებრივ კვლევას, რომელშიც დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობასთან დაკავშირებით შედარებულია ქართული და გერმანული სისხლის სამართალი. ნაშრომი შედგება 5 კარისგან. პირველ კარში განხილულია დაუმთავრებელი დანაშაულის ინსტიტუტის განვითარების ისტორიული ექსკურსი ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით. მეორე კარში ავტორი განიხილავს როგორც დამთავრებული დელიქტის ცნებასა და სახეებს, ისე დანაშაულის განვითარების სტადიებსა და ეტაპებს. მესამე კარში განხილულია დანაშაულის მომზადების არსი და მისი დასჯადობის თავისებურებანი ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით. მეოთხე კარში მსჯელობის საგანს წარმოადგენს დანაშაულის მცდელობა და მისი დასჯადობის თავისებურებანი. მეხუთე კარში ყურადღება ეთმობა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების თავისებურებებს.

ავტორი არაერთ საკითხზე იძლევა საყურადღებო დასკვნას, მაგრამ ნაშრომში გვხვდება საკამათო საკითხებიც, რომელზე ყურადღების

გამახვილებასაც ემსახურება წინამდებარე ნერილი.

1. ლ. ხარანაული დაუმთავრებელი დანაშაულების კვლევას იწყებს დამთავრებული დანაშაულის შესწავლით, ვინაიდან ჯერ დამთავრებული დანაშაული უნდა იყოს გამოკვლეული, რათა დავასკვნათ თუ როდის არის დანაშაული დასრულებელი.

დამთავრებული დანაშაულის მოდელის განხილვისას ავტორი ყურადღებას ამახვილებს ქურდობის შემადგენლობაზე და მას მიაკუთვნებს შედეგიან შემადგენლობებს, რომლის დასრულებისთვის აუცილებელ ნიშნად განიხილავს ისეთი შედეგის დადგომას, როგორიცაა ქონებრივი ზიანი¹. თუმცა, ქურდობის საკანონმდებლო შემადგენლობაში კანონმდებელი ასეთ ელემენტს არ უთითებს. ავტორს სხვისი ნივთის დაუფლება მიაჩნია ისეთ შედეგად, რომელიც ქონებრივ ზიანთან არის დაკავშირებული. განსახილველ საკითხზე სისხლის სამართლის ლიტერატურაში აზრთა სხვაობა არსებობს. ერთ-ერთი შეხედულებით, რომელიც ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაშია გამოთქმული, ქურდობა შედეგიანი დანაშაულია, რომელ შედეგშიც სხვისი ნივთის დაუფლება მოიაზრება.

¹ ხარანაული ლ., დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 2014, გვ. 25.

თუმცა, მეორე მართებული მოსაზრებით, ჟურდობა არის არა შედეგიანი, არამედ შედეგზე ორიენტირებული დანაშაული, სადაც შედეგი სხვისი ნივთის მისაკუთრების სახით გამოიხატება და ჟურდობის დასრულებისთვის არ არის აუცილებელი ბოროტმოქმედმა აღნიშნულ მიზანს მიაღწიოს. სხვისი ნივთის დაუფლება ჯერ კიდევ არ გულისხმობს სხვისი ნივთის მისაკუთრებას. მაგალითად, თუ ავტობუსში ჟურდი სხვას ჯიბიდან ფულს ამოაცლის ჟურდობა დამთავრებულია, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელმა ადგილზე დააკავა ჟურდი², რის გამოც მან ვერ შეძლო სხვისი ნივთის მისაკუთრება და განკარგვა. ჟურდობა შედეგიანი დანაშაული რომ ყოფილიყო, მოსამართლეს მოუწევდა მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და შედეგს შორის. რეალურად ჟურდობის დროს მოსამართლე ადგენს მხოლოდ განხორციელებულ ქმედებას, იმას, რომ ბოროტმოქმედი სხვის ნივთს ფარულად დაეუფლა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

2. მონოგრაფიაში მოცემულია საფრთხის დელიქტების კლასიფიკაცია და აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტები განხილულია საფრთხის დელიქტების დამოუკიდებელ ჯგუფად³, რაც ასევე საკამათოა, ვინაიდან აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტებში საფრთხე გენერალიზებული სახით არსებობს, რის გამოც მოსამართლე ადგენს თუ რამდენად შეეძლო განხორციელებულ ქმედებას მავნე შედეგის გამოწვევა, თუმცა ეს შესაძლებლობა არ არის კონკრეტული საფრთხის მსგავსი შესაძლებლობა, ქმედების შემადგენლობის განსახორციელებლად არ არის საჭირო სამართლებრივი სიკეთის მოქცევა რეალური საშიშროების ზონაში. შესაბამისად, მართებულია მისი განხილვა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ქვესახეობად⁴.

3. ნაშრომში ყაჩაღობა განხილულია კონკრეტული საფრთხის დელიქტად⁵, რის საფუძველზეც ავტორი მიდის მცდარ დასკვნამდე, რომ თითქოს ყაჩაღობის დროს უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და კონკრეტულ საფრთხეს შორის, ვინაიდან სსკ-ის მე-8 მუხლის მიხედვით, მიზეზობრივი კავშირი დგინდება როგორც სამართლებრივი სიკეთის ხელმოყოფ, ისე კონკრეტული საფრთხის დელიქტებში. სინამდვილეში ყაჩაღობა საქართველოს სსკ-ის მიხედვით წარმოადგენს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს, ფორმალურ დანაშაულს, სადაც მიზეზობრივი კავშირი არ დგინდება, ვინაიდან დანაშაული დამთავრებულია თავდასხმის მომენტში. მართალია, კანონმდებელი ყაჩაღობის შემადგენლობაში უთითებს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ ძალადობაზე ან ასეთი ძალადობის მუქარაზე, მაგრამ აქ საქმე ეხება არა დანაშაულებრივი ქმედებით შექმნილ საფრთხეს, როგორც შედეგს, არამედ დანაშაულის ხერხს, რომელიც დაკავშირებულია სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიშ ძალადობასთან ან მის მუქარასთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყაჩაღობა მიეკუთვნება ისეთ აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტს, რომელიც არის კონკრეტული საშიშროების. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი არ გულისხმობს ყოველთვის იმას, რომ კონკრეტული საშიშროება მსხვერპლთან მიმართებით არ არის შექმნილი. ზოგჯერ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის დროს კონკრეტული საშიშროება არსებობს, მაგრამ ამის მიუხედავად იგი მაინც არ განეკუთვნება კონკრეტული საფრთხის დელიქტებს (მაგალითად, დაუხმარებლობა და განსაცდელში მიტოვება)⁶. ამის თქმის შესაძლებლობას იძლევა ისიც, რომ კონკრეტული საშიშროების არსებობის მიუხედავად მოსამართლეს არ მოეთხოვება მიზეზობრივი კავშირის დადგენა. ქმედების ყაჩაღობის მუხლით დასაკვალიფიცირებლად მოსამართლე

² გამყრელიძე ო., წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 10-11.

³ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 26.

⁴ ციტიშვილი თ., აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი და მისი კლასიფიკაცია, წიგნში: მზია ლეკვეიშვილი 85, თბ., 2014, გვ. 297 და მომდევნო; Reinbacher T.,

Anwendbarkeit des deutschen Strafrechts im Internet, Deutsch-Georgische Strafrechtszeitschrift, 2016, 3. Auflage, S. 19, 22.

⁵ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 26.

⁶ Zieschang F., Die Gefährdungsdelikte, Berlin, 1998, S. 345.

იმას კი არ ადგენს, დამნაშავის ქმედებამ შეუქმნა თუ არა კონკრეტული საფრთხე ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, არამედ ადგენს, გამოიყენა თუ არა ბოროტმოქმედმა ისეთი ძალადობა, რომელიც საშიშია სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის ან ხომ არ ჰქონდა ადგილი ასეთი ძალადობის მუქარას.

4. ვინაიდან ლ. ხარანაული ყაჩაღობას კონკრეტულ საფრთხის დელიქტებს მიაკუთვნებს, ხოლო სსკ-ის მე-8 მუხლი კონკრეტული საფრთხის დელიქტებში მიზეზობრივი კავშირის დადგენას მოითხოვს, მიდის დასკვნამდე, რომ „კანონმდებლობის ასეთი ფორმულირება მიუღებელია“⁷. მიზეზობრიობაზე აღნიშნული საკანონმდებლო დებულება არის თუ არა მართებული ფორმულირებული, მართლაც შეიძლება სადავო იყოს, მაგრამ არა იმის გამო, რომ კონკრეტული საფრთხის დელიქტებში მოითხოვს მიზეზობრივი კავშირის დადგენას, არამედ იმის გამო, რომ კონკრეტული საფრთხის დელიქტებს გამოყოფს შედეგიანი დელიქტებისგან მართლსაწინააღმდეგო შედეგის და კონკრეტული საფრთხის გამიჯვნის შედეგად. კონკრეტული საფრთხე რომ შედეგია მატერიალური გაგებით, ხოლო კონკრეტული საფრთხის დელიქტი შედეგიანი დელიქტი, რის გამოც კონკრეტული საფრთხის დელიქტებში მიზეზობრივი კავშირის დადგენა აუცილებელია, აღიარებულია როგორც ქართულ, ისე გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაშიც⁸.

5. კონკრეტული საფრთხის დელიქტებში მიზეზობრიობის დადგენასთან დაკავშირებით საკანონმდებლო დებულებას ავტორი განიხილავს ყაჩაღობის მაგალითზე და მიდის დასკვნამდე, რომ „აუცილებელი არ არის კონკრეტული საფრთხე ატარებდეს რეალურ ხასიათს, არამედ ზოგჯერ საკმარისია, რომ იგი მხოლოდ ადამიანის წარმოდგენაში არსებობდეს“. ამის მაგალითად ის ასახელებს ყაჩაღობის შემთხვევას, რო-

ცა ავტორის აზრით, აუცილებელი არ არის დამნაშავემ ისეთი იარაღი გამოიყენოს, რომელიც დაზარალებულს რეალურ საფრთხეს უქმნის, არამედ საკმარისად მიაჩნია თავდასხმის განხორციელება სათამაშო იარაღის გამოყენებით⁹.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული საფრთხის დელიქტებში საფრთხე რეალურად უნდა არსებობდეს, საკმარისი არ არის დაზარალებულის წარმოსახვაში არსებული საფრთხის არსებობა. საფრთხე არ არის ადამიანის წარმოსახვის ნაყოფი. საფრთხის ისეთი გაგება, რომელსაც ავტორი გვთავაზობს, საფრთხის სუბიექტური თეორიიდან გამომდინარეობს, რომელიც დიდი ხანია დაწუნებულ იქნა სისხლის სამართლის მეცნიერებაში. თუ საფრთხის სუბიექტურ გაგებას დავეყრდნობით, სრულიად უვნებელი ქმედების კვალიფიკაცია მოგვიწევს საფრთხის შემქმნელ ქმედებად, ხოლო საფრთხის რეალურად არსებობისას, ქმედების შეფასება უვნებელ ქმედებად, იმის გამო, რომ ის ვერ აღიქვა იმან, ვისკენაც იყო იგი მიმართული. ასეთი გაგებით შეუძლებელი გახდება საფრთხის შემქმნელი დელიქტის განხორციელება იმ პირთა მიმართ, რომლებიც მოკლებულნი არიან შესაძლებლობას აღიქვან რეალურ სამყაროში მომხდარი მოვლენა.

6. ქმედების კვალიფიკაცია ყაჩაღობის მუხლით საკამათოა მაშინ, როცა მოქმედი პირი იყენებს არა ნამდვილ, არამედ სათამაშო იარაღს, ვინაიდან ძარცვის მუხლი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს თავდასხმას, რომელიც არ არის საშიში სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის (178-ე მუხ.). აღნიშნული საკითხი ერთ-ერთ საკამათო საკითხს წარმოადგენს სისხლის სამართლის ლიტერატურაში¹⁰.

7. სარეცენზიო ნაშრომში ავტორი იძლევა დამთავრებული დანაშაულის კლასიფიკაციას გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით და

⁷ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 27.

⁸ Roxin C., Allgemeiner Teil, Band I, Grundlagen. Der Aufbau der Verbrechenslehre, 4. Auflage, 2006, §11 Rn. 147; Heinrich B., Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 62, Rn. 161; Satzger H., Die Anwendung des deutschen

Strafrechts auf grenzüberschreitende Gefährdungsdelikte, NSTZ 1998, S. 114.

⁹ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 27, 45-46.

¹⁰ აღნიშნულზე უფრო ვრცლად იხ. ცქიტიშვილი თ., საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული, თბ., 2023, გვ. 32-37.

ერთმანეთისგან მიჯნავს შედეგიან და საფრთხის შემქმნელ დელიქტებს¹¹. სინამდვილეში გერმანულ სისხლის სამართალში ერთმანეთისგან არის გამიჯნული ხელყოფის (სამართლებრივი სიკეთის ხელყოფი-„*Verletzungsdelikte*“) და საფრთხის დელიქტები¹², ვინაიდან კონკრეტული საფრთხის დელიქტები შედეგიანი დელიქტებია და მისგან ვერ გაიმიჯნება. შედეგიანი დელიქტებისგან შეიძლება მხოლოდ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები გამოიყოს, რომელიც ცალსახად შედეგგარეშე დანაშაულებს მიეკუთვნება.

8. ლ. ხარანაული გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით დელიქტების კლასიფიკაციაში ერთ-ერთ სახედ გამოყოფს „შეკვეცილ შედეგიან დელიქტებს“, რომელსაც მიაკუთვნებს ქურდობის შემადგენლობას. აღნიშნული დელიქტის დახასიათებისას ავტორი მიუთითებს, რომ „დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებისთვის საკმარისია, დანაშაულებრივი ქმედება, შედეგი და შედეგის დადგომის მიზეზობრიობა დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობით იყოს მოცული. აქ არაფერი არ იცვლება, როდესაც შედეგი ფაქტობრივად სახეზეა“¹³. ავტორი ერთი მხრივ, უთითებს, რომ მოქმედ პირს საკმარისია შედეგი და მიზეზობრიობა გამიზნული ჰქონდეს, ხოლო მეორე მხრივ, ქურდობის შემადგენლობის განხორციელებისას შედეგს ფაქტობრივად განხორციელებულად მიიჩნევს. შეიძლება ითქვას, რომ მოცემული მსჯელობა წინააღმდეგობრივია. ქურდობა იმდენად არ არის შედეგიანი დანაშაული, რამდენადაც მისი შემადგენლობის ობიექტური მხარე არ მოიცავს შედეგს და მიზეზობრივ კავშირს. გარდა ამისა, „შეკვეცილი შედეგიანი დელიქტები“ ასევე წარმოადგენს ურთიერთგამომრიცხავ და ეკლექტურ ცნებას, ვინაიდან შეკვეცილი დელიქტები, როგორც წესი შედეგგარეშე, ფორმალურ შემადგენლობებს გულისხმობენ. ხოლო შედეგიანი დელიქტები მისი ანტიპოდი.

9. ლ. ხარანაული აღნიშნავს, რომ ქართული სისხლის სამართალი „შეკვეცილ შედეგიან

დელიქტებს“ არ იცნობს¹⁴. რეალურად ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა და დოგმატიკა იცნობს ქურდობისა და მსგავსი დასჯადი ქმედების შემადგენლობებს, მაგრამ სხვა საქმეა მათ რა ტერმინოლოგიითა და სახელწოდებით მოვიხსენიებთ. ქურდობას ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიზნით დაფუძნებულ დანაშაულს უწოდებენ, მაგრამ ობიექტური შემადგენლობის თავისებურების გამო სახატად ასევე შეიძლება ვუწოდოთ შედეგზე ორიენტირებული დანაშაულიც ანუ დანაშაული, რომელიც შედეგის განხორციელებისკენ არის მიმართული, მაგრამ რომლის ობიექტური შემადგენლობაც არ მოითხოვს გამიზნული შედეგის დადგომას.

10. მონოგრაფიაში ერთი მხრივ, ერთმანეთისგან არის გამიჯნული დანაშაულის ეტაპები და სტადიები, ხოლო მეორე მხრივ, დანაშაულის სტადიები და დაუმთავრებელი დანაშაული. დანაშაულის სტადიებისა და დაუმთავრებელი დანაშაულის გამიჯვნისას ავტორი აღნიშნავს, რომ სტადიები უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე დაუმთავრებელი დანაშაული. ამას იმით ასაბუთებს, რომ ავტორის შეხედულებით, დანაშაულის სტადიებზე საუბარი შესაძლებელია როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებლობითი დანაშაულის დროს. კერძოდ, გაუფრთხილებლობითი დანაშაულის დროს ადგილი შეიძლება ჰქონდეს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა ალკოჰოლის მიღება, მეგობართან ერთად მანქანაში ჩაჯდომა, წითელ შუქნიშანზე გავლა, რასაც შედეგად ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვება¹⁵. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს დანაშაულის სტადიებზე საუბარს გაუფრთხილებლობით დანაშაულებში? დასახელებულ ქმედებებს რა მნიშვნელობა ექნებოდა შედეგისგან მოწყვეტით? გაუფრთხილებლობით დანაშაულებში, როგორც წესი, პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ არსებით გარემოებას მართლსაწინააღმდეგო შედეგი წარმოადგენს. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში სჯის კანონმდებელი

¹¹ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 30-31.

¹² Heinrich B., *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 3. Aufl., 2012, S. 62, Rn. 161.

¹³ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 31.

¹⁴ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 34.

¹⁵ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 37-38.

გაუფრთხილებლობით ქმედებას შედეგის გარეშე და ისიც დამთავრებული დანაშაულის სახით (მაგალითად, სსკ-ის 241-ე მუხ.). აქედან გამომდინარე, იქ, სადაც შედეგი აფუძნებს პასუხისმგებლობას, შედეგამდე განხორციელებული ქმედება შედეგის გარეშე კარგავს სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას. დანაშაულის მომზადება და მცდელობაც ხომ დანაშაულის სტადიებია, რომელსაც გაუფრთხილებლობის დროს შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს. შესაბამისად, დაუმთავრებელი დანაშაულის და დანაშაულის სტადიების გამიჯვნა ხელოვნურ ხასიათს იძენს და მოკლებულია ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას.

11. განსახილველ წიგნში სიტყვა „ხელყოფა“ განმარტებულია ფართოდ და გაზიარებულია სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული ის მოსაზრება, რომელიც „ხელყოფის“ ქვეშ მოიაზრებს სამართლებრივი სიკეთის არა მხოლოდ დაზიანებას, არამედ მისთვის (ხელყოფის) საფრთხის შექმნასაც¹⁶. თუმცა „ხელყოფის“ ასეთი გაგება შეუძლებელს ხდის ხელყოფის და საფრთხის დელიქტების ერთმანეთისგან გამიჯვნას. „ხელყოფა“ და საფრთხის შექმნა რომ არ არის ერთი და იგივე, ეს კარგად ჩანს სისხლის სამართლის ლიტერატურაში მოცემული დელიქტების კლასიფიკაციიდანაც (Verletzungs- und Gefährdungsdelikte). აქვე უნდა აღინიშნოს იმის შესახებაც, რომ საქართველოს სსკ-ში მოიპოვება ერთი შემადგენლობა, რომელშიც „ხელყოფა“ ფართოდ არის გაგებული (325-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

12. ლ. ხარანაული როდესაც განიხილავს იმ ქმედებებს, რომელთაც ადგილი აქვთ დანაშაულის მომზადების დროს, იარაღის მომარჯვებად განმარტავს საჭმელში საწამლავის შერევას ანუ საკვების მოწამლას, რითაც აღნიშნულ ქმედებას დანაშაულის მომზადებად აკვალიფიცირებს¹⁷. თუმცა უნდა ითქვას, რომ საკვების მოწამლა მკვლელობის მიზნით, როგორც წესი, დანაშაულის (მკვლელობის) მცდელობად კვალიფიცირდება და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში

შეიძლება ვისაუბროთ დანაშაულის მომზადებაზე. ეს შეეხება ისეთ შემთხვევას, როცა არ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მსხვერპლმა მოწამლული საკვები დროის ახლო მონაკვეთში მიიღოს. მაგალითად, როცა პოტენციური მსხვერპლი შვებულებაში იმყოფება და მოწამლული საკვები შეიძლება მიიღოს შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ. განსახილველ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება შედეგთან სიახლოვის ფაქტორი. საკითხის განხილვისას სასურველი იყო მეტი კონკრეტიკა, ვინაიდან მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორი მოწამლას ყოველთვის მომზადებად განიხილავს.

13. დანაშაულის მოსამზადებელი ქმედებების განხილვისას ავტორი მსჯელობს ჩასაფრების შემთხვევაზე და მიუთითებს, რომ ჩასაფრება ზოგჯერ მომზადებად, ხოლო სხვა შემთხვევაში მცდელობად უნდა დაკვალიფიცირდეს პოტენციური მსხვერპლის სიახლოვის ფაქტორის გათვალისწინებით¹⁸. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ჩასაფრება, ზოგადად, დანაშაულის მომზადებას წარმოადგენს და მას მცდელობად ვერ გადააქცევს თუნდაც მსხვერპლის სიახლოვე შემთხვევის ადგილთან. ჩასაფრების მცდელობად კვალიფიკაციაზე საუბარი მსხვერპლის სიახლოვის გათვალისწინებით მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ იმასაც მივიღებდით მხედველობაში, რა მდგომარეობაშია იარაღი, რომელსაც ბოროტმოქმედი ფლობს ან საერთოდ არის თუ არა შეიარაღებული. თუ ბოროტმოქმედი შეიარაღებული არ არის ან იარაღი, რომელსაც ფლობს, საბრძოლო მდგომარეობაში არ არის მოყვანილი, ჩასაფრება დანაშაულის მომზადებად უნდა დაკვალიფიცირდეს, მსხვერპლის ჩასაფრების ადგილთან სიახლოვის მიუხედავად. ბოროტმოქმედის შეიარაღების გათვალისწინების გარეშე, ჩასაფრების ადგილთან მსხვერპლის სიახლოვის გათვალისწინებით ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულის მცდელობად შეიძლება გამომდინარეობდეს არა ქართული, არამედ გერმანული სისხლის სამართლიდან, რომელიც ქართულისგან

¹⁶ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 42.

¹⁷ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 43.

¹⁸ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 43.

განსხვავებით, დანაშაულის მომზადების გენერალურ დასჯადობას არ აღიარებს და აქედან გამომდინარე, განაგრძობს დანაშაულის მცდელობის ფარგლებს.

14. ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრებით, დანაშაულის მომზადება შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ლ. ხარანაული თვლის, რომ დანაშაულის მომზადება შეიძლება განხორციელდეს არაპირდაპირი განზრახვითაც. აღნიშნულთან დაკავშირებით, ავტორს მოყავს მაგალითი, როცა დაცვის თანამშრომელი ბიზნესმენის კარს ღია ტოვებს და უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ბიზნესმენის სახლში ბოროტმოქმედი შეიჭრას. ბოროტმოქმედი მართლაც ეცდება ბიზნესმენის სახლში შეჭრას, მაგრამ მისი ქმედება პოლიციელთა მიერ იქნება აღკვეთილი. ავტორის თქმით, ეს არის მკვლელობის მომზადებაში დახმარება არაპირდაპირი განზრახვით¹⁹. უნდა ითქვას, რომ დანაშაულის მომზადების საზღვრების ასეთი გაფართოება მიუღებელია და წარმოადგენს დასჯას ვარაუდისთვის. თუ ჩვენ დანაშაულის მომზადების ფარგლებს ასე განვაგრძობთ აბსურდულ მდგომარეობამდე მივალთ. მკვლელობის მომზადების ინტელექტუალურ დახმარებად შეიძლებოდა მიგვეჩნია კრიმინალისტიკის ლექტორის საუბარი სტუდენტებთან, რომელიც უშვებს, რომ მისი საუბარი სალექციო საკითხებთან დაკავშირებით ბოროტად იქნას გამოყენებული სტუდენტის მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად.

საგულისხმოა, რომ ავტორი თავად მიდის დასკვნამდე არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მომზადების კრიმინალურპოლიტიკურ მიზანშეუწონლობასთან დაკავშირებით²⁰. თუ სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზანი არ არის არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მომზადების დასჯადობა, საინტერესოა რა მიზანს ემსახურება იმის მტკიცება, რომ დანაშაულის მომზადება არაპირდაპირი განზრახვითაც შეიძლება?

15. მონოგრაფიის ავტორის თქმით, მომზადების განზრახვა არ სცდება სოციალურად ტოლერირებული საქმიანობის ფარგლებს და ჯერ კიდევ არ წარმოადგენს მართლწესრიგისთვის საფრთხის შემქმნელ სუბიექტურ მომენტს, რომელსაც ადგილი აქვს დანაშაულის მცდელობის დროს²¹. უფრო მართებული იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ დანაშაულის მომზადების განზრახვა არის ის, რაც ერთმანეთისგან მიჯვნავს სოციალურად ადექვატურ ქმედებას, სოციალურად არატოლერირებული ქმედებისგან. ხოლო ობიექტური თვალსაზრისით, სუბიექტური მომენტისგან მოწყვეტით, მათ შორის სხვაობის პოვნა რთულია. თუმცა კანონმდებელი დანაშაულის მომზადების დასჯადობის საკითხს საბოლოოდ წყვეტს განხორციელებული ქმედების საშიშროების გათვალისწინებითაც (მე-18 მუხ.).

16. ლ. ხარანაული განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ისეთ დანაშაულებს, რომელთა მომზადებაც შეუძლებელია და ასეთად განიხილავს 218-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს (გადასახადისაგან თავის არიდება). დასახელებული დელიქტის მომზადების შეუძლებლობის დასაბუთებისას ავტორი ყურადღებას ამახვილებს მის ობიექტურ შემადგენლობაზე და აღნიშნავს, რომ მისი როგორც უმოქმედობითი დანაშაულის მომზადება იმიტომ არის შეუძლებელი, რომ გადასახადის გადაუხდელობა უკვე დანაშაულის დასრულების ეტაპს უკავშირდება²². თუმცა ავტორი არ ითვალისწინებს იმას, რომ განსახილველი დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია როგორც წმინდა უმოქმედობით, ისე მოქმედებითი უმოქმედობით²³. ეს უკანასკნელი შემთხვევა გულისხმობს მაგალითად, მონაცემების გაყალბებას გადასახადისაგან თავის არიდების მიზნით. დანაშაულის მომზადებას სწორედ ამ უკანასკნელ ქმედებასთან დაკავშირებით შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

17. არ არის გასაზიარებელი ავტორის მოსაზრება, როცა იგი კონკრეტული საფრთხის დელიქტებს შედეგგარეშე, ფორმალურ დელიქტებად განიხილავს²⁴. კონკრეტული საფრთხის

¹⁹ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 48.

²⁰ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 69.

²¹ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 49.

²² ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 63.

²³ ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ნაწილი მეორე, თბ., 2023, გვ. 240.

²⁴ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 64.

დელიქტები რომ შედეგიანი დელიქტებია, ამაზე მიუთითებს მიზეზობრივი კავშირის დადგენის აუცილებლობა კონკრეტული საფრთხის დელიქტებში (მე-8 მუხ.).

18. ასევე გაკვირვებას იწვევს მონოგრაფიაში განვითარებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბანდიტიზმი შესაძლოა კონკრეტული საფრთხის დელიქტს წარმოადგენდეს²⁵. ბანდიტიზმი (224-ე მუხ.) იმდენად არ არის კონკრეტული საფრთხის დელიქტი, რამდენადაც კანონმდებელი ქმედების შემადგენლობაში აღწერს დასჯად ქმედებას და არ უთითებს ქმედებით შექმნილ საფრთხეზე თუ საშიშ მდგომარეობაზე. კონკრეტული საფრთხის დელიქტებში კანონმდებელი ყოველთვის უთითებს კონკრეტულ საფრთხეზე, როგორც შედეგზე. 224-ე მუხლის დისპოზიცია კი შემდეგი სახით არის ფორმულირებული: „მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნა ან ხელმძღვანელობა პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზნით“. ქმედების კვალიფიკაციის დროს მოსამართლემ მხოლოდ ის უნდა დაადგინოს, რომ პირმა შექმნა მყარი შეიარაღებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობა ასეთ ჯგუფს პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზნით. მოსამართლეს არ მოეთხოვება იმის შეფასება და დასაბუთება, განხორციელებულმა ქმედებამ შეუქმნა თუ არა ვინმეს რეალური საფრთხე. კანონმდებელი თვითონ აფასებს ქმედების საშიშროებას და აცხადებს დასჯადად იმიტომ, რომ ზოგადად ასეთი ქმედება არის საშიში.

19. ლ. ხარანაული დანაშაულის მომზადების გენერალური დასჯადობის წინააღმდეგ გამოდის, რასაც მისი არაპრაქტიკულობით ხსნის და მიუთითებს დანაშაულის მომზადებასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკის არარსებობაზე. ავტორი ემხრობა დანაშაულის მომზადების შესახებ საკანონმდებლო რეგულირების გადატანას სსკ-ის კერძო ნაწილში²⁶.

არ არის გასაზიარებელი მოსაზრება, რომ დანაშაულის მომზადებაზე ნულოვანია სასამარ-

თლო პრაქტიკა. სანინააღმდეგოზე მეტყველებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა.

გარდა ამისა, მომზადებაზე საკანონმდებლო რეგულირების სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში გადატანის აუცილებლობა არ არსებობს. პრაქტიკას ქმედების კვალიფიკაციაში ხელს არანაირად არ უშლის ის, რომ საკანონმდებლო რეგულირება კოდექსის ზოგად ნაწილშია მოცემული. გასათვალისწინებელია ქართული სსკ-ის თავისებურებაც იმ გაგებით, რომ კოდექსის კერძო ნაწილი მხოლოდ დამთავრებული დანაშაულის მოდელს ითვალისწინებს. ზოგჯერ მომზადების ეტაპზე ცხადდება დანაშაული დასრულებულ ქმედებად, მაგრამ კანონმდებელი ასეთ გადაწყვეტილებას იშვიათად იღებს, ქმედების საშიშროების გათვალისწინებით.

20. საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის თანახმად, „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც უშუალოდ იყო მიმართული დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“. ლ. ხარანაულის მოსაზრებით, აღნიშნული დეფინიცია ხარვეზიანია და საჭიროა დანაშაულის მცდელობის ისეთი დეფინიციის ჩამოყალიბება, რომელშიც საუბარი იქნება დანაშაულის ვერ განხორციელებაზე²⁷. თუმცა, ვერც ეს დეფინიცია ჩაითვლება უხარვეზოდ, ვინაიდან მცდელობის ცნების ქვეშ მოექცევა მხოლოდ ისეთი შემთხვევა, როცა დანაშაულის სურს დანაშაულის ბოლომდე განხორციელება, მაგრამ დანაშაულებრივი ქმედება ვერ მიჰყავს ბოლომდე, ხოლო შემთხვევა, როცა დანაშაულებზე ხელს იღებს დანაშაულის ბოლომდე განხორციელებისგან, დარჩება მცდელობის განსაზღვრების მიღმა. როგორც ავტორიც მიუთითებს, წინამორბედი სსკ-ი გვთავაზობდა მცდელობის ისეთ განმარტებას, რომელიც არ მოიცავდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევას, რაც კანონმდებლობის ხარვეზად მიიჩნეოდა, ვინაიდან ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის მცდელობას არ გამო-

²⁵ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 64.

²⁶ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 69-70.

²⁷ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 91.

რიცხავს. თუ ავტორის მოსაზრება იქნა გაზიარებული, კანონმდებელს მოუწევს მცდელობის იმ ცნების აღდგენა, რომელიც თავის დროზე იქნა დაწუნებული. სასურველია, მცდელობის ცნება მოიცავდეს ორივე შემთხვევას.

21. მონოგრაფიის ავტორი აღნიშნავს: „ვინც მხოლოდ დანაშაულის შემადგენლობასთან ახლოს მდგომ საფრთხეს ქმნის, მისი წარმოდგენა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების შესახებ სახეზე არ არის, რადგან იგი ან საერთოდ არ ითვალისწინებს ასეთ საფრთხეს (დაუდევრობა), ან კიდევ დარწმუნებულია იმაში, რომ შედეგი არ დადგება (თვითიმედოვნება). სწორედ ამიტომ, გერმანული სამართალი გაუფრთხილებლობით მცდელობას არ აღიარებს“²⁸.

მოცემული მსჯელობა ვერ ხსნის იმას, თუ რატომ არ არის დასაშვები, მოქმედი, ერთი მხრივ, ქმნიდეს ქმედების შემადგენლობასთან ახლოს მყოფ საფრთხეს და, მეორე მხრივ, მოქმედებდეს არა გაუფრთხილებლობით, არამედ განზრახ. მოქმედი პირის განზრახვა ყოველთვის არ შეესაბამება რეალურად არსებულ საფრთხეს და ქმედების შემადგენლობის განხორციელების შესაძლებლობას. მართალია, რეალური მდგომარეობა და არსებული საფრთხე ზოგჯერ არის მოქმედი პირის სუბიექტური მომენტის თანაფარდი, მაგრამ ეს არ ითქმის ყველა შემთხვევაზე. თუ ჩვენ განზრახვისა და გაუფრთხილებლობის დასადგენად მხოლოდ ქმედებით შექმნილი საფრთხის ხარისხს დავეყრდნობით, მოვახდენთ სუბიექტური მომენტის გაუმართლებელ ობიექტივაციას და აღნიშნული მომენტების დასადგენად აზრს დაკარგავდა მოქმედი პირის სუბიექტური წარმოსახვა, რაც ყოვლად გაუმართლებელია. სუბიექტური მომენტის დასადგენად მოქმედის სუბიექტური აღქმა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რეალურად შექმნილი მდგომარეობა.

მოცემული მსჯელობის მართებულობას ადასტურებს ავტორის მიერ ნაშრომის იმავე გვერდზე მოყვანილი დებულება, რომელშიც

იგი დანაშაულის მცდელობას გამორიცხავს სწორედ ქმედების შემადგენლობასთან ახლოს მყოფი საფრთხის არარსებობის გამო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქმედების შემადგენლობასთან ახლოს მყოფი საფრთხე მცდელობის განზრახვის არა გამომრიცხავ, არამედ მისთვის საკმარის ობიექტურ წინაპირობად შეიძლება იქნას მიჩნეული.

22. საკამათოა მონოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ დანაშაულის მცდელობის დროს განზრახვა ისეთივე უნდა იყოს, როგორიც დამთავრებული დანაშაულის დროს არის²⁹ და რომ განზრახვა უნდა მოიცავდეს შემადგენლობის ყველა რგოლს, მაგალითად, მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და შედეგს შორის³⁰.

დანაშაულის მცდელობის დროს, როგორც წესი, შედეგი არ არის სახეზე, შესაბამისად, ჩნდება კითხვა, რამდენად შეიძლება ვისაუბროთ განზრახვით მიზეზობრიობის ყველა დეტალის მოცვაზე თუ შედეგი არ განხორციელებულა? დანაშაულის მცდელობას მიზეზობრიობის ატიპიურად განვითარების შედეგად შეიძლება მოჰყვეს მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რაც გამორიცხავს პასუხისმგებლობას შედეგთან მიმართებით. დანაშაულის მცდელობის დროს მოქმედი პირის განზრახვაში ასახულ მიზეზობრიობასა და რეალურად განვითარებულ მიზეზობრიობას შორის რომ შეიძლება არსებობდეს არსებითი სხვაობა, კარგად იკვეთება ატიპიური მიზეზობრიობის შემთხვევიდან. დანაშაულის მცდელობის განზრახვისთვის უფრო მნიშვნელოვანია განზრახვაში შედეგის ასახვა, შედეგისადმი დამოკიდებულება, თუ საუბარია შედეგიანი დანაშაულის მცდელობაზე. ხოლო დამთავრებული დანაშაულის განზრახვისთვის ასევე მნიშვნელოვანია მოიცავდა თუ არა განზრახვა მიზეზობრიობის ძირითად მომენტებს. მიზეზობრიობის განვითარებაში შეცდომა, მართალია, არ გამორიცხავს განზრახვას, მაგრამ განზრახვას წარმოგვიდგენს სხვა შინაარსით, რომელშიც არ

²⁸ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 93.

²⁹ ანალოგიურ აზრს გამოთქვამდა თ. წერეთელიც. იხ. წერეთელი თ., დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961, გვ. 136.

³⁰ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 134.

არის ასახული მიზეზობრიობის ისეთი განვითარება, რომელსაც ადგილი ჰქონდა რეალურ სამყაროში. ამას ადასტურებს მონოგრაფიაში მოყვანილი მსჯელობაც³¹.

დამთავრებული დანაშაული დანაშაულის სრულყოფილ ფორმას წარმოადგენს. შესაბამისად, განზრახვაც სრულად მოიცავს მიზეზობრიობის განვითარებას. ხოლო დაუმთავრებელი დანაშაული დანაშაულის არასრული ფორმაა, რაც ზოგჯერ განზრახვაზეც ჰპოვებს ასახვას.

23. ლ. ხარანაული განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მიზნის მნიშვნელობას დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულის გამიჯვნისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით მას მოყავს მაგალითი ჯანმრთელობის დაზიანებისა და მკვლელობის მცდელობის შესახებ და აღნიშნავს, რომ საკითხი მოქმედი პირის მიზნის გავალისწინებით უნდა გადაწყდეს. მაგალითად, მკვლელობის მცდელობით დაკვალიფიცირდება ქმედება თუ პირი მოქმედებდა მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობის მიზნით³². მოცემულ მსჯელობაში ავტორს არაფერი დაეწინაურება, რომ არა ის ლოგიკური წინააღმდეგობა, რომელიც მომდევნო აბზაცში გვხვდება. კერძოდ, ავტორის მტკიცებით დანაშაულის მცდელობისთვის მიზანი მხოლოდ მაშინ არის რელევანტური სუბიექტური ნიშანი, როცა საქმე ეხება იმ ქმედების შემადგენლობას, რომლის აუცილებელ ნიშანსაც მიზანი წარმოადგენს³³. თითქოს მოცემული წინადადებაც არ უნდა შეიცავდეს ლოგიკურ წინააღმდეგობას, მაგრამ გაუგებრობა მაშინ იწყება, როცა ამ ორ წინადადებას ერთმანეთს დავუპირისპირებთ. თუ მცდელობის აუცილებელი სუბიექტური ნიშანი მიზანია მხოლოდ მიზნით დაფუძნებულ დელიქტებში, რატომ ანიჭებს ავტორი მიზანს ასეთ მნიშვნელობას მკვლელობის მცდელობისთვის? მკვლელობა ხომ არ მიეკუთვნება მიზნით დაფუძნებულ დელიქტებს? გამოდის, რომ მკვლელობის მცდელობა გამიზნულ ქმედებას გულისხმობს, მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობა არ მოითხოვს გამიზნულ ქმედებას.

ნაშრომის მომდევნო გვერდებზე ავტორი ისევ საკუთარ თავს უპირისპირდება და აღნიშნავს, რომ ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობა დოგმატურად უპრობლემოდ საბუთდება³⁴. ლ. ხარანაულის შეხედულებით, საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლში მცდელობის ცნებაში მოცემული სიტყვები „უშუალოდ მიმართული“ განსაზღვრავს მცდელობის არა სუბიექტურ, არამედ ობიექტურ შემადგენლობას³⁵.

თუ ევენტუალური განზრახვით მცდელობა შესაძლებელია, ავტორი მკვლელობის მცდელობისთვის გამიზნულ ქმედებას რატომ მოითხოვს? ევენტუალური განზრახვა სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებით გამორიცხავს გამიზნულ ქმედებას, ისევე როგორც გამიზნული ქმედება განსახილველ დელიქტთან დაკავშირებით გამორიცხავს არაპირდაპირ განზრახვას.

24. მონოგრაფიაში ავტორი მსჯელობს შეცდომაზე და მის მნიშვნელობაზე ქმედების დანაშაულის მცდელობად კვალიფიკაციისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით განიხილავს პიროვნებაში შეცდომის იმ შემთხვევას, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს შეცდომას გარანტირულ მდგომარეობასთან დაკავშირებით. კერძოდ, როცა უმოქმედოდ მყოფ პირს ჰგონია, რომ არ ეხმარება მას, ვის მიმართაც გარანტირული მოვალეობა აკისრია, მაგრამ სინამდვილეში, განსაცდელში მყოფი პირის მიმართ მხოლოდ სოლიდარული მოვალეობა არსებობს. ლ. ხარანაულის მიერ გამოთქმული მოსაზრებით, ასეთ დროს ქმედების კვალიფიკაციის საკითხი უნდა გადაწყდეს პიროვნებაში შეცდომის ანალოგიურად, თუმცა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მკვლელობის მცდელობად³⁶. ავტორი დასახელებულ შემთხვევას განიხილავს უვარგისი მცდელობის ქვესახედ, უვარგისი სუბიექტის მიერ მცდელობის შემთხვევად³⁷.

აღნიშნულ საკითხზე ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებებია გამოთქმული.

³¹ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 140.

³² ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 135.

³³ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 135.

³⁴ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 150.

³⁵ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 180.

³⁶ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 141. ანალოგიურ კვალიფიკაციას გვთავაზობს როქსინი. იხ. *Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, 2003, S. 448, §29 Rn. 353.*

³⁷ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 273.

ერთ-ერთი შეხედულება სწორედ იმ მოსაზრებას ემხრობა, რომ განსახილველი შემთხვევა პიროვნებაში შეცდომას ეხება და ქმედება მკვლელობად უნდა დაკვალიფიციროს³⁸.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი შეხედულებით, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ქმედება განზრახ განხორციელებულად რჩება, მაგრამ სახეზეა აკრძალვაში შეცდომა. შესაბამისად, საკითხი უნდა გადაწყდეს აკრძალვაში შეცდომის ანალოგიით³⁹, მაგრამ საქართველოს სსკ-ის 36-ე მუხლის მიხედვით, აკრძალვაში შეცდომის დროს განზრახვა გამოიკვეთება და ქმედება გაუფრთხილებლობით დანაშაულად კვალიფიცირობა თუ აღნიშნული ქმედება გაუფრთხილებლობის შემთხვევაშიც დასჯადია.

განსახილველ შემთხვევაში საქმე ეხება უმოქმედობას და არა აქტიურ მოქმედებას. უმოქმედობით მკვლელობა, ისევე როგორც მკვლელობის მცდელობა, მოითხოვს დამნაშავესა და მსხვერპლს შორის გარანტორული მოვალეობის არსებობას. თუ გარანტორული მდგომარეობა რეალურად არ არსებობს, არაგარანტორულ ურთიერთობას დამნაშავეს ნარმოსახვა ვერ აქცევს გარანტორულად. შესაბამისად, მეტად საკამათოა განსახილველ შემთხვევაში დამდგარი შედეგის შერაცხვა მოქმედი პირისთვის ან თუნდაც ქმედების კვალიფიკაცია მკვლელობის მცდელობად. აქედან გამომდინარე, შეიძლება მხარდაჭერას იმსახურებდეს ქმედების კვალიფიკაცია 129-ე მუხლით, მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის რეალურად არსებული ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით⁴⁰. ხოლო დამნაშავეს განზრახვა შეიძლება გავითვალისწინოთ სასჯელის დანიშვნის დროს დამამძიმებელ გარემოებად.

თუ ქმედება მკვლელობის მცდელობად დაკვალიფიციროდა, რასაც ლ. ხარანაული უჭერს

მხარს, გადაჭარბებული მნიშვნელობა მიენიჭება უმოქმედოდ მყოფი პირის განზრახვას, რაც საკითხის სუბიექტური თეორიის მიხედვით გადაწყვეტის მომასწავებელი იქნება. შემთხვევითი არ არის, რომ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრებით, უმოქმედობის დელიქტებში უვარგისი მცდელობის დაშვება იქნებოდა განწყობის სისხლის სამართლის მომასწავებელი⁴¹. თუმცა, უმოქმედობის დელიქტებში უვარგისი მცდელობის საკითხი ყოველთვის ერთნაირად არ შეიძლება გადაწყდეს. თუ განსახილველ შემთხვევაში დავას ინვესტავს ქმედების კვალიფიკაცია და არა ის, რომ საქმე ეხება დასჯად ქმედებას, უმოქმედობის დელიქტის მცდელობის ზოგიერთ შემთხვევაში ქმედების დასჯადობის საკითხიც საკამათოა⁴².

განსახილველ საკითხზე საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ თუ ზემოაღნიშნულ უმოქმედობას დავაკვალიფიცირობთ 129-ე მუხლით, ეს გულისხმობს უმოქმედობის დელიქტის უვარგისი მცდელობის ანალოგიით ქმედების კვალიფიკაციაზე უარის თქმას და ქმედების კვალიფიკაციის დროს ობიექტურად არსებული გარემოებებისთვის მეტი მნიშვნელობის მინიჭებას.

25. ლ. ხარანაული იზიარებს რა არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის იდეას და აღნიშნავს, რომ სსკ-ის მე-19 მუხლში სიტყვები „უშუალოდ იყო მიმართული დანაშაულის ჩასადენად“ ნარმოადგენს დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის ობიექტურ კრიტერიუმს და არა არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის უარყოფელ სუბიექტურ ნიშანს⁴³. ხოლო არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის დასაბუთება დოგმატურად უპრობლემოდ მიაჩნია ნორმატიული სურვილის ცნებაზე დაყრდნობით, რომელიც ავტორის თვალსაზრისით, სახეზეა არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ ასევე

³⁸ მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 337.

³⁹ Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2012, S. 411, Rn. 913.

⁴⁰ ქმედების ასეთი კვალიფიკაციის შესაძლებლობას განიხილავს ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი, მაგრამ ასეთ

კვალიფიკაციას მხარს არ უჭერს. იხ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., დასახ. ნაშრ., გვ. 337.

⁴¹ აღნიშნულის შესახებ იხ. Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, 2003, S. 457, §29 Rn. 376.

⁴² იხ. ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 273, 788-ე სქოლიო.

⁴³ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 148.

არაპირდაპირი განზრახვის დროსაც⁴⁴. აღნიშნულთან დაკავშირებით ისმის კითხვა: რამდენად შესაძლებელია არაპირდაპირ განზრახვაში მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევის სურვილის დასაბუთება, როცა კანონმდებელი სურვილზე მხოლოდ პირდაპირ განზრახვაში უთითებს? მაშინ როცა საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლში მოცემულია განზრახვის საკანონმდებლო სახეების დეფინიცია, განზრახვის კომპონენტებზე საუბრისას ჩვენთვის ამოსავალ წერტილს სწორედ საკანონმდებლო განსაზღვრება უნდა წარმოადგენდეს. ალოგიკური იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ კანონმდებელი განზრახვას ფსიქოლოგიურად განმარტავს და უარს ამბობს მის ნორმატიულ გაგებაზე. კანონმდებლისთვის უმთავრესი უნდა იყოს საკითხის ნორმატიული და არა ფსიქოლოგიური გაგება.

26. მონოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებით, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობისას ბოროტმოქმედი მაქსიმუმ არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებს⁴⁵. თუმცა არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომელიც არ გამორიცხავს პირდაპირი განზრახვით მოქმედებას 113-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას⁴⁶.

27. ლ. ხარანაული გულმოდგინედ ცდილობს დაასაბუთოს არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობა და აღნიშნული მიზნით მოყავს ისეთი მაგალითი, რომელიც არა თუ ვერ ასაბუთებს საკამათო საკითხს, არამედ აჩენს დამატებით კითხვას და კიდევ უფრო მეტ გაუგებრობას იწვევს. საქმე შეეხება პიროვნების ტანჯვის მიზნით მონამვლის შემთხვევას, სადაც მოქმედი პირი სასიკვდილო შედეგისადმი გულგრილია და არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებს. საწამლავის დოზა საკმარისია სასიკვდილო შედეგის გამოსწვევად, მაგრამ შედეგის დადგომამდე მოხდება ავიაკატასტროფა, რის გამოც, როგორც ავტორი აღნიშნავს, შეუძლებელი ხდება იმის დადგენა, პირი

მონამვლით გარდაიცვალა თუ ავიაკატასტროფის შედეგად. ავტორის თქმით, ასეთ დროს ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადანწყვეტის პრინციპიდან გამომდინარე, ქმედების მკვლელობის მცდელობად შეფასება არა თუ მხოლოდ შესაძლებელია, არამედ სავალდებულოცაა. ავტორის თქმით, ვინც შეეცდება ამ პოზიციის გაბათილებას, მან უარი უნდა თქვას სისხლის სამართალში კონსტიტუციური პრინციპის გამოყენებაზე⁴⁷.

ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადანწყვეტის პრინციპი უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური პრინციპია. აღნიშნულ პრინციპზე უარის თქმა გულისხმობს პირის დასჯას ვარაუდის საფუძველზე. როდესაც ვერ დგინდება შედეგი კონკრეტულად რამ გამოიწვია, ცხადია პირს ვერ დავსჯით ვარაუდისთვის, მაგრამ გაუგებარია, რატომ იქნება კონსტიტუციურ პრინციპზე უარის თქმა ასეთ დროს მოქმედი ჯანმრთელობის დაზიანების მცდელობისთვის რომ დავსაჯოთ, თუ აღნიშნული შედეგის მიმართ პირდაპირი განზრახვით მოქმედებდა? საკითხის როგორი გადანწყვეტა უფრო სასარგებლოა ბრალდებულისთვის: ის რომ ევენტუალური განზრახვით მცდელობისთვის დავსაჯოთ, თუ ის, რომ პასუხისმგებლობა დავაკისროთ ჯანმრთელობის დაზიანების მცდელობისთვის, რაც უტყუარად დგინდება განსახილველი მაგალითის მიხედვით?

28. არ არის გასაზიარებელი მონოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ალტერნატიული განზრახვის დროს დამნაშავეს მხოლოდ ერთი სიკეთის ხელყოფა სურს, ხოლო სხვა შედეგის დადგომას გულგრილად ეკიდება⁴⁸. ალტერნატიული განზრახვა არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ორი ალტერნატიული შედეგიდან თითოეული შედეგი დამნაშავეისთვის თანაბრად სასრუველი იყოს. ალტერნატიული განზრახვა მას იმიტომ არ ჰქვია, რომ დამნაშავეს ორი დანაშაულებრივი შედეგიდან მხოლოდ ერთი შედეგის დადგომა

⁴⁴ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 150.

⁴⁵ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 155.

⁴⁶ გამყრელიძე ო., წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002, გვ. 84; ცქიტიშვილი

თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 222-224.

⁴⁷ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 157.

⁴⁸ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 177.

სურს, არამედ იმიტომ, რომ კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით, ორი ან მეტი შემადგენლობიდან მხოლოდ ერთის განხორციელების შესაძლებლობას უშვებს. აქედან მოქმედი პირისთვის სასურველი შეიძლება იყოს ერთ-ერთი შემადგენლობის ან ორივე შემადგენლობის განხორციელება. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ალტერნატიული განზრახვის შიგნით დიფერენცირება პირდაპირ და არაპირდაპირ ალტერნატიულ განზრახვად. მაგალითად, როცა პირი მოქმედებს მღევარის ჩამოცილების მიზნით, მისთვის ერთნაირად სასურველი შეიძლება იყოს როგორც ცხენის მოკვლა, ისე მასზე ამხედრებული მღევარის სიცოცხლის მოსპობა.

29. გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფში, სადაც მცდელობის ცნებაა განსაზღვრული, კანონმდებელი იყენებს ნაწილს „zu“, მაგრამ ლ. ხარანაულის თვალსაზრისით აღნიშნული ნაწილაკი, რომელიც ზოგადად ფინალური წინადადების ასაგებად გამოიყენება, არ მიუთითებს პირდაპირ განზრახვაზე, ვინაიდან ადამიანის ქმედება არ არსებობს მიზნის და მოტივის გარეშე⁴⁹. თუ ამ ლოგიკას გავყევით, ქმედებას განსაზღვრული მოტივი და მიზანი უდევს საფუძვლად გაუფრთხილებლობის დროსაც, მაგრამ ეს არ არის სისხლისსამართლებრივად რელევანტური მიზანი და მოტივი. როდესაც საუბარია სისხლისსამართლებრივად რელევანტური მიზნის განსახორციელებლად ჩადენილ ქმედებაზე, როგორც წესი, იგულისხმება პირდაპირი განზრახვით განხორციელებული ქმედება⁵⁰. გამონაკლის შემთხვევაში შეეფარდება ერთმანეთს გამიზნული ქმედება და დანაშაულის განხორციელება არაპირდაპირი განზრახვით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გერმანულ სისხლის სამართალში გამიზვნა, როგორც განზრახვის სპეციფიკური სახე, ცალკე გამოიყოფა.

30. ლ. ხარანაული იზიარებს სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულ იმ მოსაზრებას, რომ დანაშაულის ერთ-ერთი ნიშანია მისი დასჯადობა, ვინაიდან ყველა ქმედების შემადგენლობას თან ახლავს სანქცია⁵¹. თუმცა საგულისხმოა მეორე შეხედულება, რომელიც აღნიშნულის მიუხედავად, დასჯადობას არ განიხილავს დანაშაულის ნიშნად. მეორე შეხედულება ეფუძნება იმ არგუმენტს, რომ დანაშაული შეიძლება განხორციელდეს, მაგრამ გარკვეული გარემოებების საფუძველზე დამნაშავე მაინც არ დაისაჯოს. ამ მხრივ, საყურადღებოა კ. როქსინის მოსაზრება, რომელიც სასჯელის შეფარებისთვის, დანაშაულის გარდა, აუცილებლად მიიჩნევს დასჯის პრევენციული აუცილებლობის არსებობას. თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალი იცნობს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესაძლებლობას დანაშაულის ჩადენის მიუხედავად⁵².

31. მონოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებით, „დამნაშავე, რომელიც მსხვერპლს უახლოვდება, მკვლელობის მცდელობას ჩადის მაშინ, როდესაც მას რამდენიმე ნაბიჯი აქვს გადასადგმელი, რომ შემდგომ დაუმიზნოს მსხვერპლს“⁵³. როგორც მოცემული წინადადებიდან ირკვევა, იარაღით მკვლელობის მცდელობის განხორციელება შესაძლებელი ყოფილა იარაღის დამიზნების გარეშე, მისი მომარჯვებითაც, რაც საკამათოდ შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან მცდელობის ასეთი გაგებით ადგილი აქვს მცდელობის ფარგლების გაუმართლებელ განვრცობას⁵⁴. როგორც ირკვევა, ავტორი მომზადების და მცდელობის გამიჯვნისთვის ითვალისწინებს ობიექტთან მიახლოების ფაქტორს. ობიექტთან სიახლოვე მცდელობისთვის დამახასიათებელი მომენტი, მაგრამ მხოლოდ აღნიშნული მომენტი არ არის საკმარისი მომზადების და

⁴⁹ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 177.

⁵⁰ გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამონაკლის შემთხვევაში უშვებენ გამიზნული ქმედების შესაძლებლობას არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებულ დანაშაულში. ასეთად განიხილავენ ქურდობის შემადგენლობას.

⁵¹ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 187.

⁵² აღნიშნულის შესახებ იხ. ცქიტიშვილი თ., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის

საფუძველი, შედარებითი სამართლის გერმანულ-ქართული ჟურნალი, 2023, #7.

⁵³ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 208.

⁵⁴ იარაღის მომარჯვებას მომზადებად მიიჩნევენ ო. გამყრელიძე და ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი. იხ. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 237; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., ნიგნზი: ნაჭყებია გ., თოდუა ნ., (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 372.

მცდელობის გამიჯვნისთვის. მსხვერპლთან ახლოს მყოფი პირი დანაშაულის მცდელობის სტადიაზე რომ გადავიდეს, საჭიროა იარაღის დამიზნება. დამიზნებამდელი სტადია ჯერ კიდევ მომზადების სტადიას განეკუთვნება. იარაღის დამიზნება მკვლელობის დაუმთავრებელ მცდელობას წარმოადგენს. დაუმთავრებელ მცდელობას დამთავრებული მცდელობისგან ერთი ნაბიჯი აშორებს, ეს არის იარაღიდან ტყვიის გასროლა. რაც შეეხება იარაღის მომარჯვებას დამიზნების გარეშე, იარაღიდან ტყვიის გასროლიდან უფრო შორეული ეტაპს წარმოადგენს, მასზე ვერ ვიტყვით, რომ ტყვიის გასროლას ერთი ნაბიჯი აშორებსო, ვინაიდან ტყვიის გასროლას წინ უძღვის იარაღის დამიზნება. იარაღის მომარჯვების დროს დამნაშავეს ჯერ კიდევ არ აქვს ის ფსიქოლოგიური ბარიერი გადალახული, რომელიც მცდელობისთვისაა დამახასიათებელი. გასათვალისწინებელია ის, რომ მომზადების სტადიას ქართული სისხლის სამართალი დაუსჯელს არ ტოვებს, რის გამოც არ არსებობს მცდელობის საზღვრების განვრცობის აუცილებლობა. თუ იარაღის მომარჯვებას, დამიზნების გარეშე, მკვლელობის მცდელობად ჩავთვლით მსხვერპლთან სიახლოვის გამო, მკვლელობის მცდელობად უნდა დაგვეკვალიფიცირებინა ბოროტმოქმედის შეჭრა მსხვერპლის ბინაში მკვლელობის მიზნით. მართებული მოსაზრების თანახმად, აღნიშნული ქმედება ჯერ კიდევ მკვლელობის მომზადებას წარმოადგენს და არა მცდელობას, განსხვავებით ქურდობისგან, როდესაც ბინაში შეჭრა ბინის გასაქურდად, ქურდობის მცდელობას აფუძნებს⁵⁵. მიზეზი თუ რატომ წარმოადგენს ერთი და იგივე ქმედება ერთ შემთხვევაში მომზადებას და მეორე შემთხვევაში მცდელობას, მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნული ქმედებით ქმედების შემადგენლობის განხორციელება მეორე შემთხვევაში დაწყებულია, განსხვავებით პირველისგან. მაშასადამე,

იმის გასარკვევად, საქმე გვაქვს დანაშაულის მომზადებასთან თუ მცდელობასთან, გასათვალისწინებელია დანაშაულის ბუნება და ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა.

32. ლ. ხარანაული ბინის გაქურდვის მიზნით ძაღლის ეზოდან გაყვანას ქურდობის მცდელობად აფასებს, რის მიზეზად იმას მიიჩნევს, რომ ქმედების (სხვისი ნივთის დაუფლების) ხელისშემშლელი ფაქტორი ისპობა⁵⁶. აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი. ძაღლის ეზოდან გაყვანა ან ძაღლის მონამვლით მკვლელობა და ამ გზით ხელშემშლელი გარემოების თავიდან მოცილება ჯერ კიდევ დანაშაულის მომზადების სტადიაა, ვინაიდან აღნიშნული ქმედებით ბოროტმოქმედი პირობებს ქმნის დანაშაულის ჩასადენად, ხოლო ქურდობის შემადგენლობის განხორციელება არც დაწყებულია და ვერც იმას ვიტყვით, რომ ქმედების შემადგენლობის განხორციელება ეს ესაა იწყება. ძაღლის თავიდან მოშორება ბინის გასაქურდად ისეთივე მნიშვნელობის ქმედებაა ქურდობასთან მიმართებით, როგორიც მორგებული გასაღების დამზადება, სიგნალიზაციის გამორთვა ან მწყობრიდან გამოყვანა და სხვა.

33. მონოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებით, დამამძიმებელი გარემოების განხორციელება მხოლოდ მაშინ მიაღწევს მცდელობის სტადიას, როდესაც იმავდროულად ადგილი აქვს ძირითადი შემადგენლობის განხორციელებას⁵⁷. თუმცა ავტორი არ უთითებს რომელ მაკვალიფიცირებელ გარემოებაზეა საუბარი. ვინაიდან მცდელობა მხოლოდ განზრახვი ქმედებითაა შესაძლებელი, თუ საუბარია კვალიფიცირებული შემადგენლობის მცდელობაზე (და არა „შედეგით კვალიფიცირებულ მცდელობაზე“⁵⁸), ბუნებრივია აქ იგულისხმება ის მაკვალიფიცირებელი გარემოება, რომლის მიმართაც დამნაშავე განზრახ შეიძლება მოქმედებდეს. რო-

⁵⁵ ანალოგიურ აზრს გამოთქვამდა თ. წერეთელი. იხ. წერეთელი თ., წიგნში: საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 117. საკითხის ასეთი გადაწყვეტისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება იხ. მჭედლიშვილი-ჰედრისი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 41.

⁵⁶ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 213.

⁵⁷ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 213.

⁵⁸ შედეგით კვალიფიცირებული მცდელობა განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციის პირობებშიც არის შესაძლებელი.

გორც ცნობილია, არსებობს ისეთი კვალიფიცი-
რებული შემადგენლობებიც, რომელშიც რო-
გორც ძირითადი, ისე კვალიფიცირებული შემად-
გენლობით გათვალისწინებული შედეგის მი-
მართ განზრახი დამოკიდებულება იგულისხმე-
ბა. ასეთია ორი ან მეტი პირის მკვლელობა. ასე-
თი შემადგენლობის მცდელობა შესაძლებელია
იმ შემთხვევაშიც, როცა ქმედების ძირითადი შე-
მადგენლობა არ არის განხორციელებული. ეს
არის ორი ან მეტი პირის მკვლელობის მცდელო-
ბა. 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშა-
ულის მცდელობის დროს შეიძლება ადგილი
ჰქონდეს ქმედების ძირითადი შემადგენლობის
სრულად განხორციელებასაც, მაგრამ ძირითა-
დი შემადგენლობის სრულად განხორციელება
არ წარმოადგენს კვალიფიცირებული შემადგე-
ნლობის მცდელობის აუცილებელ პირობას.

34. მონოგრაფიაში ერთმანეთისგან არის
გამიჯნული ორი შემთხვევა: ერთი, როცა ბინის
გასაქურდად შემთხვევის ადგილზე ხდება ამნის
მიტანა და მეორე, როცა ამნის შემთხვევის ად-
გილზე მიტანიდან და დამალვიდან სამი დღის
შემდეგ ბოროტმოქმედი ამნეს იღებს სამალავი-
დან და აპირებს მისი დახმარებით გისოსის და-
ზიანებას. ავტორის შეფასებით, თუ პირველ შე-
მთხვევაში სახეზეა ქურდობის მომზადება, მეო-
რე შემთხვევაში ქმედება ქურდობის მცდელო-
ბად უნდა დაკვალიფიცირდეს⁵⁹. საკამათოა ქმე-
დების კვალიფიკაცია ქურდობის მცდელობად
გისოსის დაზიანების მიზნით გადამალული ამ-
ნის მომარჯვების გამო. როგორც ჩანს, ავტორი
აღნიშნულ ქმედებას უთანაბრებს მკვლელობის
მიზნით იარაღის დამიზნებას. ქურდობის მცდე-
ლობად შეიძლება დაკვალიფიცირდეს ქმედება
მაშინ, თუ მოქმედი პირი შეუდგება გისოსის და-
ზიანებას. ის, რომ ბოროტმოქმედი გისოსის და-
ზიანებას აპირებდა, არ გულისხმობს იმას, რომ
ადგილი ჰქონდა ქურდობის მცდელობას. ისევე
როგორც იარაღის მომარჯვება არ წარმოად-
გენს მკვლელობის მცდელობას, ამნის მომარჯ-
ვება ქურდობის მიზნით, ასევე ვერ ჩაითვლება
ქურდობის მცდელობად.

35. მონოგრაფიაში განხილულია მცდელო-
ბა უმოქმედობის დელიქტებში და აღნიშნულია,
რომ მცდელობას ადგილი შეიძლება ჰქონდეს
წმინდა უმოქმედობის დელიქტებშიც. სანიმუ-
შოდ დასახელებულია სსკ-ის 390-ე მუხლით გა-
თვალისწინებული შემადგენლობა⁶⁰. აღნიშნუ-
ლი შემადგენლობა შემდეგნაირად არის ჩამოყა-
ლიბებული: „სამხედრო მოსამსახურის მიერ სა-
მხედრო სამსახურისთვის თავის არიდება ავად-
მყოფობის სიმულაციით, სხეულის თვითდაზიან-
ებით, ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ან სხ-
ვაგვარად მოტყუებით“. როგორც ნორმის დის-
პოზიციიდან ირკვევა, აღნიშნული დანაშაულის
ჩადენა შესაძლებელია მოქმედებითი უმოქმე-
დობით. კერძოდ, საკუთარი ჯანმრთელობის
დაზიანებით. ჯანმრთელობის დაზიანების
დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოქმედე-
ბას. განსახილველი დანაშაული განსხვავდება
იმ დანაშაულებისგან, რომელთა ჩადენაც მხო-
ლოდ უმოქმედობით ხდება. ამიტომ, საკამათო
შეიძლება იყოს განსახილველი ქმედების შემად-
გენლობის სანიმუშოდ დასახელება წმინდა უმო-
ქმედობით დანაშაულებთან დაკავშირებით.

36. წმინდა უმოქმედობით დანაშაულებთან
დაკავშირებით მონოგრაფიაში ასევე განხილუ-
ლია 383-ე მუხლით გათვალისწინებული დანა-
შაული, რომელიც გულისხმობს უფროსის ბრძა-
ნების შეუსრულებლობას. ავტორის მოსაზრე-
ბით, ხელქვეითის მიერ უფროსის ბრძანების შე-
უსრულებლობა უნდა დაკვალიფიცირდეს გან-
სახილველი დანაშაულის მცდელობად. რო-
გორც ჩანს, ავტორს მხედველობაში აქვს უმოქ-
მედობა შედეგის დადგომამდე⁶¹.

განსახილველ შემადგენლობაში კანონმდე-
ბელი შემადგენლობის ნიშნად მიუთითებს სამ-
ხედრო სამსახურის ინტერესის არსებით დაზიან-
ებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ შემადგენლობის
განხორციელებას კანონმდებელი უკავშირებს
შედეგის დადგომას, ხოლო მხოლოდ უმოქმედო-
ბა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივად და-
სჯად მცდელობას თუ ქმედებას, რომელიც მხო-
ლოდ დისციპლინურ პასუხისმგებლობას იწ-
ვევს, შეიძლება საკამათო იყოს. გარდა ამისა,

⁵⁹ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 216.

⁶⁰ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 226.

⁶¹ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 226.

როგორც ზემოთ განხილულ შემთხვევაში, ამ შემთხვევაშიც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს დანაშაულის ჩადენას მოქმედებითი უმოქმედობით, მიუხედავად იმისა, რომ დისპოზიციაში კანონმდებელი არ უთითებს ისეთ ქმედებას, რომელიც აქტიურ მოქმედებასაც მოიცავს.

37. მონოგრაფიაში ცალკე მსჯელობის საგანს წარმოადგენს მცდელობა შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში. ასეთად განიხილავს ორი ან მეტი პირის მიქველად აყვანას⁶², რაც არ არის გასაზიარებელი. მიქველად ხელში ჩაგდება ფორმალური დანაშაულია და იგი ასეთად რჩება მიუხედავად იმისა, რამდენი პირის მიქველად ხელში ჩაგდებასაც უნდა ეხებოდეს საქმე. ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს კვალიფიცირებული და შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობა.

38. ლ. ხარანაულის თვალსაზრისით, სსკ-ის 229-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა შედეგისადმი გაუფრთხილებლობით დამოკიდებულებას გულისხმობს, რაც არ არის გასაზიარებელი⁶³. 229-ე მუხლის მე-4 ნაწილი რომ შედეგთან მიმართებით არა გაუფრთხილებლობას, არამედ განზრახვას ითვალისწინებს⁶⁴ გამომდინარეობს დასახელებული მუხლის 1-ლი ნაწილიდანაც, სადაც სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის ან ქონების დაზიანების ან სხვა მძიმე შედეგის გამოწვევის მიზნით განხორციელებულ ქმედებაზეა საუბარი. 229-ე მუხლის მე-4 ნაწილი მოიცავს განზრახ მკვლელობისა და ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების სპეციალურ შემადგენლობებს, როცა დანაშაულის ჩადენა ხდება აფეთქებით, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. შესაბამისად, ასეთ დროს ქმედება არა 109-ე ან 117-ე მუხლით, არამედ 229-ე მუხლის მე-4 ნაწილით კვალიფიცირდება. მე-4 ნაწილი რომ განზრახ ქმედებას გულისხმობს ჩანს ნორმით გათვალისწინებული სანქციიდანაც, რომელიც განსაზღვრავს თავისუფლების აღკვეთას ათიდან თხუთმეტ წლამდე.

39. ლ. ხარანაული საგანგებო ყურადღებას უთმობს უმოქმედობით დანაშაულის მცდელობისა და მომზადების გამიჯვნის საკითხს და იზიარებს მოსაზრებას, რომ შერეული უმოქმედობის დელიქტებში მცდელობას მაშინ აქვს ადგილი, როცა უმოქმედობით შექმნილია ისეთი საფრთხის მდგომარეობა, რომელზეც ბოროტმოქმედი ვერ ბატონობს. აღნიშნულ მოსაზრებას ავტორი წარმოგვიდგენს გაბატონებულ შეხედულებად⁶⁵.

ზოგადად, დანაშაულის მცდელობა გულისხმობს სამართლებრივი სიკეთისთვის რეალური საფრთხის შექმნას, როცა მოვლენებზე მოქმედი პირი შეიძლება ვერ ბატონობდეს, მაგრამ ჩნდება კითხვა, ყოველთვის არსებობს თუ არა ასეთი მდგომარეობა მცდელობის დროს? მცდელობა ყოველთვის არ გულისხმობს ერთნაირად საშიშ და არაკონტროლირებად მდგომარეობას. მცდელობის დროს მოვლენებზე ბატონობის სადავე ბოროტმოქმედის ხელში რომ არ იყოს, დანაშაულზე ნაბაყოფლობით ხელის აღება შეუძლებელი იქნებოდა. მაგალითად, როდესაც ბოროტმოქმედი იარაღს დაუმიზნებს პოტენციურ მსხვერპლს, ადგილი აქვს მკვლელობის დაუმთავრებელ მცდელობას და მოქმედი პირი ჯერ კიდევ ბატონობს მოვლენების მსვლელობაზე. მას შეუძლია შექმნილი საფრთხე გაანეიტრალოს დამიზნებული იარაღის გასროლისგან თავის შეკავებით და იარაღის ლულის ჩამოშვებით. მოქმედი პირი მოვლენებზე არ ბატონობს ტყვიის გასროლის შემდეგ. როცა პირი მსხვერპლს დამიზნებით ესვრის, გასროლილი ტყვია მოხვდება თუ არა მსხვერპლს, არ არის დამოკიდებული ბოროტმოქმედზე. მას მოვლენების განვითარებაში ცვლილების შეტანა შეუძლია ტყვიის გასროლამდე. იგივენაირი მდგომარეობაა უმოქმედობითი მცდელობის დროსაც. აღნიშნული ეხება შიმშილით, საკვების მიუცემლობით, ადამიანის მკვლელობის მცდელობასაც.

საკამათოა ასევე ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ თითქოს უმოქმედობით მკვლელობისთვის მნიშვნელოვანია შემთხვევის

⁶² ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 229.

⁶³ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 230.

⁶⁴ ანალოგიური მოსაზრება იხ. ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის

კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწილი მეორე, თბ., 2023, გვ. 326.

⁶⁵ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 236.

ადგილიდან ბოროტმოქმედის დისტანცირება. მთავარი მომენტი არა მსხვერპლის ადგილსამყოფელის დატოვება დამნაშავის მიერ, არამედ სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობა. შეიძლება შედეგიანი დანაშაული (მკვლელობა) უმოქმედობით ისე განხორციელოს ბოროტმოქმედმა, რომ მსხვერპლის ადგილსამყოფელი საერთოდ არ დატოვოს, მაგალითად, თვალყური მიადევნოს იმას, თუ როგორ კვდება განსაცდელში მყოფი დაუხმარებლობის შედეგად, რასაც ადგილი შეიძლება ჰქონდეს დანაშაულის მცდელობის დროსაც, ვინაიდან აღნიშნული სტადია ნინ უძღვის შედეგის დადგომას.

40. მონოგრაფიაში განზრახი შედეგით დამძიმებული შემადგენლობის მცდელობა იმგვარად არის განხილული, რომ არ არის შესაბამისი მაგალითი დასახელებული საქართველოს სსკ-ის მიხედვით. ავტორი გერმანული კანონმდებლობის მიმოხილვით შემოიფარგლება⁶⁶. სასურველი იყო საკითხის განხილვა ქართული სსკ-ის მიხედვითაც, ვინაიდან განსახილველი ნაშრომი შედარებით-სამართლებრივ კვლევას წარმოადგენს.

41. ლ. ხარანაულის სადისერტაციო ნაშრომში მსჯელობის საგანს წარმოადგენს სიმთვრალეში განხორციელებული ქმედების კვალიფიკაცია, რომელთან დაკავშირებით ავტორი იზიარებს გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურასა და კანონმდებლობაში გაზიარებულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც სიმთვრალეში განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 323-ე პარაგრაფით⁶⁷, რომელიც საფრთხის შემქმნელი დელიქტის შემადგენლობად განიხილება. აღნიშნული მოსაზრება საკამათოა, ვინაიდან სიმთვრალეში ჩადენილი განზრახი დანაშაულისთვის ხდება პასუხისმგებლობის გაუმართლებელი შემსუბუქება, ვინაიდან ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, როგორიცაა მკვლელობა, ჯანმრთელობის დაზიანება, დასახელებული ნორმით

კვალიფიკაციის პირობებში გარდაიქმნება საფრთხის შემქმნელ დელიქტად, რამდენადაც არაფხიზელ მდგომარეობაში შეგნებულად თავის ჩაყენება მიიჩნევა საფრთხის შემქმნელ დელიქტად. მართებულია ის შეხედულება, რომელიც შეგნებულად არაფხიზელ მდგომარეობაში თავის ჩაყენების და მკვლელობის განხორციელებისას ქმედებას აკვალიფიცირებს მკვლელობის მუხლით, ხოლო წინარე ქმედებას - სიფხიზლეში მართლსაწინააღმდეგო ქმედების დაგეგმვას იყენებს სიმთვრალეში განხორციელებული ქმედების ბრალეულობის დასასაბუთებლად⁶⁸. აღნიშნულიდან გამომდინარე, სიმთვრალეში განხორციელებული განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების კვალიფიკაციისთვის სსკ-ში გერმანული სსკ-ის 323-ე პარაგრაფის ანალოგიური შემადგენლობის საქართველოს სსკ-ში შემოტანის აუცილებლობა არ არსებობს. აღნიშნული შემადგენლობის შემოტანის საკითხზე მსჯელობა შეიძლება მართებული იყოს იმ შემთხვევებისთვის, როცა არ არსებობს ორმაგი განზრახვა.

42. უვარგისი მცდელობის განხილვისას ლ. ხარანაულს მოჰყავს ისეთი მაგალითი, რომელიც სადავოა. მაგალითად, როცა ყაჩაღობის მიზნით ბოროტმოქმედი სხვის ბინაში შეიჭრება, ითხოვს ფულსა და ძვირფასეულობას, მაგრამ პირები, რომლებიც ბინაში დახვდა, სიმთვრალის გამო უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რის გამოც მუქარა ვერ აღიქვეს. ხოლო მოქმედი პირი პოლიციამ შემთხვევის ადგილზე დააკავა. აღნიშნულ შემთხვევას ავტორი მიიჩნევს უვარგის მცდელობად, რის გამოც ქმედებას ყაჩაღობის მცდელობით აკვალიფიცირებს⁶⁹. ავტორის პოზიცია სადავოა იმიტომ, რომ ყაჩაღობის განხორციელებისთვის არსებითია არა განხორციელებული მუქარის აღქმა პოტენციური მსხვერპლის მიერ, არამედ განხორციელებული თავდასხმა (ბინაში შეჭრა), წაყენებული მუქარა და მისი სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის ობიექტურად საშიში ძალადობა

⁶⁶ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 238-243.

⁶⁷ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 254.

⁶⁸ ციტიშვილი თ., სიმთვრალეში განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების კვალიფიკაციისათვის (ისტორიული და შედარებით-

სამართლებრივი ასპექტები), კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, ნიგნი III, თბ., 2015, გვ. 627-649.

⁶⁹ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 260.

ან ასეთი ძალადობის მუქარა. შესაბამისად, ქმედება აღნიშნულ შემთხვევაში დამთავრებულ ყაჩაღობად უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში უვარგის მცდელობასთან გვექნებოდა საქმე თუ ბოროტმოქმედს ბინაში არა მთვრალი, არამედ გარდაცვლილი დახვდებოდა, ვინაიდან სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნა შეიძლება მხოლოდ ცოცხალი ადამიანის მიმართ. ადამიანის სიმთვრალე კი მისი სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის ობიექტურად საფრთხის შექმნის შესაძლებლობას არ გამორიცხავს.

43. უვარგისი საშუალებით დანაშაულის მცდელობაზე მსჯელობისას ლ. ხარანაულს მოჰყავს ისეთი შემთხვევა, როცა პირი ცრუ ინფორმაციას აწვდის მის მოწინააღმდეგეებს შვილის გარდაცვალების შესახებ გულის შეტევით მოკვლის მიზნით და მიზანს აღწევს ერთ-ერთი მოწინააღმდეგის მკვლელობასთან დაკავშირებით. ავტორი აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირი სახეზეა, მაგრამ შედეგი პირს ობიექტურად არ უნდა შეერაცხოს⁷⁰. მაგალითის მოყვანისას მეტი კონკრეტულობა იყო საჭირო. ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ავტორთა ერთი ნაწილი დასახელებულ შემთხვევაში უშვებს ქმედების განზრახ მკვლელობად კვალიფიკაციის შესაძლებლობას, თუმცა იმ დათქმით, რომ მსხვერპლი არის გულის ავადმყოფობით დაავადებული, რის შესახებაც მოქმედმა იცის⁷¹ და აქედან გამომდინარე, არსებობს მოვლენების მაღალი ალბათობით განვითარების წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობა. განსახილველ მაგალითში მკვლელობის საშუალებად მიჩნეულია მსხვერპლზე ფსიქიკური ზემოქმედება. მაშასადამე, ადამიანის მკვლელობა შესაძლებელია არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ასევე ფსიქიკური ზემოქმედების გზითაც.

44. ლ. ხარანაული აღნიშნავს, რომ უვარგისი სუბიექტის მიერ დანაშაულის მცდელობა,

როგორც წესი, დაუსჯელი რჩება და გამონაკლისია შერეული უმოქმედობის დელიქტები, როცა პირი ცდება გარანტის მოვალეობის არსებობაში⁷². თუმცა მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ ასეთ დასჯად შეცდომას გარანტორულ მდგომარეობასთან დაკავშირებით შეიძლება ადგილი ჰქონდეს წმინდა უმოქმედობის დელიქტებშიც, როგორიცაა განსაცდელში მიტოვება და დაუხმარებლობა. მაგალითად, „ა“ შეცდომით ფიქრობს, რომ განსაცდელში მყოფი პირი მისი შვილია და მას არ ეხმარება, მაგრამ აღმოჩნდება, რომ იგი მისი მეზობელი ყოფილა. „ა“-ს არ ჰქონია განსაცდელში მყოფის სიცოცხლის მოსპობის სურვილი, არამედ გულგრილად ეგუებოდა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში უმოქმედობით მკვლელობის მცდელობის საკითხი არ უნდა იქნას დასმული როგორც არაპირდაპირი განზრახვით უმოქმედობის, ისე იმის გამო, რომ გარანტორული მდგომარეობა რეალურად არ არსებობდა. აღნიშნული უმოქმედობა არც განსაცდელში მიტოვებად დაკვალიფიცირდება. თუმცა ეს სრულად არ გამორიცხავს პასუხისმგებლობას და „ა“ უნდა დაისაჯოს დაუხმარებლობისთვის. დაუხმარებლობა, ისევე როგორც განსაცდელში მიტოვება, წმინდა უმოქმედობის დელიქტია.

45. დისერტანტი თანამონაწილეობის დასჯადობის საკითხზე მსჯელობისას უთითებს, რომ თანამედროვე სისხლის სამართალი თანამონაწილეობის ლიმიტირებული აქცესორობის პრინციპს იცნობს⁷³, მაგრამ არ ითვალისწინებს იმას, რომ საქართველოს სსკ-ის 23-ე და 24-ე მუხლები, გერმანული სსკ-გან განსხვავებით, მიუთითებენ თანამონაწილის მონაწილეობაზე არა ამსრულებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში (უმართლობაში), არამედ დანაშაულში მონაწილეობაზე, ხოლო დანაშაული არ არსებობს ბრალეული ქმედების გარეშე.

46. ლ. ხარანაული სადისერტაციო ნაშრომში ყაჩაღობის თანაამსრულებლობაზე მსჯელო-

⁷⁰ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 271.

⁷¹ ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, ნაწილი პირველი, თბ., 2023, გვ. 33.

⁷² ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 288.

⁷³ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 292.

ბისას ავითარებს იმ მოსაზრებას, რომელიც ბინის კარებთან გარეთ სადარაჯოდ მდგომ პირს უპირობოდ თანაამსრულებლად მიიჩნევს⁷⁴ ისე, რომ არ ითვალისწინებს, დარაჯად დგომის გარდა კიდევ რა ფუნქციას ასრულებდა. საკითხის ასეთი გადანყვეტა არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, კარებთან მდგომი პირი მხოლოდ დარაჯის ფუნქციას ასრულებდა თუ სხვა სახის ფუნქციასაც ითავსებდა. მხოლოდ დარაჯად დგომა ყაჩაღობაში თანაამსრულებლობისთვის საკმარის წინაპირობად ვერ ჩაითვლება⁷⁵.

47. მონოგრაფიაში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მიიჩნევა შესაძლებლად ერთი მხრივ, დანაშაულის მატერიალურად და ფორმალურად დასრულებამდე⁷⁶ და მეორე მხრივ, მას ავტორი დასაშვებად თვლის მაშინაც, როცა დანაშაული ფორმალურად დასრულებულია, მაგრამ მატერიალურად არ არის დამთავრებული⁷⁷.

მოსაზრება, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია დანაშაულის ფორმალურად დამთავრების შემდგომაც მის მატერიალურად დასრულებამდე, გამოთქმული იყო მანამდეც რუსულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში, მაგრამ ეს შეხედულება მართებულად გააკრიტიკა თ. ნერეთელმა იმ არგუმენტით, რომ საკითხის ასეთი გადანყვეტა ეწინააღმდეგება კანონმდებლის ნებას, რომელიც დანაშაულის დამთავრებას უკავშირებს სწორედ ქმედების შემადგენლობის სრულად განხორციელებას⁷⁸. თუ ჩვენ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია დანაშაულის ფორმალურად დასრულების შემდგომაც მატერიალურად (ფაქტობრივად) დამთავრებამდე, კანონმდებლის ნების წინააღმდეგ მივალთ დასკვნამდე, რომ ქმედების შემადგენლობის განხორციელების მიუხე-

დავად დანაშაული ჯერ კიდევ დაუმთავრებელია და ამგვარად, უშედეგო დანაშაულსაც ვცნობდით შედეგიან დანაშაულად⁷⁹.

48. ლ. ხარანაული დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას დასაშვებად თვლის როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. უფრო სწორად, არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებულ დანაშაულებში⁸⁰. თუმცა აღნიშნული საკითხი უკავშირდება იმას თუ რამდენად დასაშვებად ვცნობთ არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მომზადებას და მცდელობას. თუ დანაშაულის მომზადება და მცდელობა გამოვრიცხეთ არაპირდაპირი განზრახვით, ლოგიკურად მივალთ დასკვნამდე, რომ არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებულ დანაშაულებში ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლებელია, ვინაიდან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას სწორედ მომზადების ან მცდელობის სტადიაზე შეიძლება ჰქონდეს ადგილი. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებულ დანაშაულებში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა იმ ავტორებს შორისაც იწვევს კამათს, რომლებიც არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის იდეას იზიარებენ. ამ მხრივ აღნიშნულ ავტორთა მოსაზრება ორად იყოფა. ავტორთა ერთი ნაწილი თუ უშვებს არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებულ დანაშაულებში დანაშაულზე ხელის აღების შესაძლებლობას, მეორე ნაწილი მას გამორიცხავს. აღნიშნული შეხედულების წარმომადგენლები მიუთითებენ, რომ არაპირდაპირი განზრახვის დროს ადგილი არ აქვს ისეთ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რომელიც ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის არის დამახასიათებელი⁸¹.

49. ლ. ხარანაული დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით მსჯელობს ისეთ შემთხვევაზე, როცა წამქეზებული

⁷⁴ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 293.

⁷⁵ ვრცლად იხ. ცქიტიშვილი თ., საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული, თბ., 2023, გვ. 89-105.

⁷⁶ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 314.

⁷⁷ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 315-316.

⁷⁸ ნერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 553.

⁷⁹ ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 288-290.

⁸⁰ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 331.

⁸¹ აღნიშნულზე უფრო ვრცლად იხ. ცქიტიშვილი თ., დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხისათვის, შედარებითი სამართლის გერმანულ-ქართული ჟურნალი, 2023, #5.

ამსრულებელს დაიყოლიებს მკვლელობაზე, ხოლო შემდეგ დანაშაულის დასრულებამდე გადააფიქრებინებს მკვლელობის ჩადენას და დაარწმუნებს ამსრულებელს იმაში, რომ საკმარისი იქნება, თუ იგი დაზარალებულს მხოლოდ ჯანმრთელობას დაუზიანებს. აღნიშნულ შემთხვევას ავტორი მიჯნავს შედეგის ობიექტურად შერაცხვის გამომრიცხავი ისეთი გარემოებისგან, როგორიც რისკის შემცირებაა, მაგრამ შედეგის შერაცხვის მიუხედავად თანამონაწილეს, ნამქეზებელს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან ბრალის გამორიცხვის საფუძველზე. გარემოებას, რომელიც აღნიშნულ შემთხვევაში ავტორის შეხედულებით ბრალს გამორიცხავს, უწოდებს ბრალის გამომრიცხავ ზეკანონურ გარემოებას ნებაყოფლობით ხელის ალების პირობით⁸². ავტორის შეხედულება კრიტიკას ვერ უძლებს. განხილულ შემთხვევაში ამსრულებელიც და ნამქეზებელიც უნდა დაისაჯონ რეალურად განხორციელებული დანაშაულისთვის, ჯანმრთელობის დაზიანებისთვის. არ არსებობს არგუმენტი, რომელიც გაამართლებდა ნამქეზებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას, ვინაიდან სწორედ მისი დაყოლიების შედეგად გადაწყვიტა ამსრულებელმა თავიდან უფრო მძიმე უმართლობის - მკვლელობის, ხოლო შემდგომ შედარებით უფრო მსუბუქი უმართლობის - მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანების განხორციელება.

50. მონოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებით, სამართლებრივად დამხმარე დანაშაულის დაწყებამდე იტყვის უარს შეპირებული ქმედების შესრულებაზე, თუ დანაშაულის დაწყების შემდეგ, განსხვავებულ შედეგებს არ იძლევა, რადგან ორივე შემთხვევაში იგი მიზეზობრივად აღარ არის დაკავშირებული იმ შედეგთან, რომელსაც ამსრულებელი მისგან დამოუკიდებლად სჩადის⁸³. აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორი გამოდის ინიციატივით, რომ სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება სხვაგვარად ჩამოყალიბდეს, სადაც ყურადღება იქნება გამახვილებული დამხმარის მიერ შეპირებული

ქმედების შესრულებასთან დაკავშირებით უარის თქმაზე არა დანაშაულის დაწყებამდე, არამედ დასრულებამდე⁸⁴, რაც იმას გულისხმობს, რომ შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილების პირობებში შესაძლებელი იქნება დამხმარის მიერ დანაშაულზე ხელის ალება შეპირებულ ქმედებაზე უარის თქმით დანაშაულის დაწყების შემდგომაც მის დასრულებამდე. აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი, ვინაიდან ავტორი არ ითვალისწინებს დამხმარის ქმედების ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ამსრულებლის საბოლოო გადაწყვეტილებაზე და მის თანამიზეზობრიობას განხორციელებულ ქმედებაში და წარმოადგენს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ალების საზღვრების გაუმართლებელ განვრცობას. ავტორი არ ითვალისწინებს იმას, რომ დამხმარის ქმედების დასჯადობის ობიექტური საფუძველი არის ერთიანი უმართლობა და დამხმარის ქმედების მიზეზობრიობა ამსრულებლის ქმედებასთან. დამხმარის ქმედება არ უტოლდება ნამქეზებლის ქმედებას, მაგრამ ნუ დაგვაზიანდება, რომ დამხმარის წინასწარი შეპირება ამსრულებელს გადაწყვეტილებას განუმტკიცებს, რაც ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედების განვითარების პროცესში. შეიძლება დამხმარის მიერ ამსრულებლისთვის წინასწარ მიცემული პირობა დახმარებასთან დაკავშირებით გადამწყვეტიც კი აღმოჩნდეს. ხოლო წინასწარ მიცემული დაპირების შესრულებაზე დამხმარის უარი დანაშაულის დაწყების შემდეგ, დანაშაულის დასრულებამდე, ნაკლებ ეფექტური ამსრულებელზე ზემოქმედებისთვის და დაწყებული დანაშაულებრივი ქმედების შეწყვეტისთვის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ავტორს თავისი მოსაზრების საილუსტრაციოდ მოყავს ქურდობასთან დაკავშირებით ისეთი მაგალითი, რომელშიც დანაშაული არა თუ დაწყებული, არამედ იურიდიულად დასრულებულიც არის (სხვისი ბინიდან ნივთების გამოტანა)⁸⁵. თუ ქურდობის შემადგენლობა იურიდიულად განხორციელებული

⁸² ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 341-342.

⁸³ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 343.

⁸⁴ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 344.

⁸⁵ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 344.

ბულია და ქურდობის ამსრულებელი თავის ნაცნობ „ა“-ს, რომელიც მოგვიანებით ნახა ქუჩაში, გადასცემს ნაქურდალს, „ა“-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა როგორც ქურდობაში სუქცესიური თანამსრულებლობა, არამედ 186-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ფლობისთვის, სარგებლობისთვის, შეძენისთვის ან გასაღებისთვის. ხოლო თუ ადგილი ჰქონდა ნაქურდალის დაფარვას ფარული დაუფლების შემდეგ, წინასწარი შეპირების გარეშე, ქმედება დანაშაულის დაფარვის (375-ე) მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს⁸⁶. იმისთვის, რომ ქმედება ქურდობაში დახმარებად დაკვალიფიცირდეს, საჭიროა მან ქურდობის ამსრულებელს დახმარება გაუწიოს სხვისი ქონების დაუფლებაში ანუ ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებაში. თუ დასახელებული მაგალითის მიხედვით „ა“-ს ქმედებას ქურდობის სუქცესიურ თანამსრულებლობად ან თანამონაწილეობად ვცნობთ, აზრს დაკარგავს 186-ე და 375-ე მუხლებით გათვალისწინებული შემადგენლობების არსებობა.

51. ლ. ხარანაული დანაშაულში სუქცესიურ თანამონაწილეობას უშვებს დანაშაულის იურიდიულად განხორციელების შემდეგ, მაგრამ არ ითვალისწინებს დანაშაულის ბუნებას⁸⁷. დანაშაულის იურიდიულად განხორციელების შემდეგ დანაშაულში თანამონაწილეობა და თანამსრულებლობა შესაძლებელია, მაგრამ დანაშაულის ბუნების და საკანონმდებლო შემადგენლობის გათვალისწინებით. თუ ყაჩაღობაში თანამსრულებლობა და თანამონაწილეობა შესაძლებელია ყაჩაღობის შემადგენლობის იურიდიულად განხორციელებამდე, დენად დანაშაულებში ამის შესაძლებლობა დანაშაულის იურიდიულად განხორციელების შემდეგაც არის შესაძლებელი. ამის მაგალითად შეიძლება დასახელებული თავისუფლების უკანონო აღკვეთა⁸⁸.

დანაშაულის იურიდიულად განხორციელების მიუხედავად სუქცესიური თანამონაწილეობის და თანამსრულებლობის შესაძლებლობის საკითხის განხილვისას საჭირო იყო მეტი კონკრეტული დასჯადი ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო აღწერილობის გათვალისწინებით და დანაშაულთა დიფერენცირება ჯგუფებად, დანაშაულებად, რომელთა იურიდიულად დამთავრების შემდეგ თანამონაწილეობა და თანამსრულებლობა შესაძლებელია და დანაშაულებად, რომლებშიც ასეთი შესაძლებლობა გამოირიცხება.

52. მონოგრაფიაში თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში ნებაყოფლობით ხელის ალებაზე მოყვანილია ცეცხლის წაკიდების მაგალითი, რომელშიც თავდაპირველი ქმედება მიმართულია დანაშაულის განხორციელებისკენ, მაგრამ შემდგომ მოგვიანებით ხორციელდება ქმედება, რომელიც სახლის ბოლომდე დაწვას გამოიწვევს⁸⁹. ავტორი არ ითვალისწინებს, რომ სხვისი ქონების დაზიანება ან განადგურება შედეგიანი დანაშაულია (187-ე მუხ.) და ნებაყოფლობით ხელის ალება მოითხოვს ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის თავიდან აცილებას. თუ ცეცხლის წაკიდებამ, სახლის გარკვეული ნაწილის დაწვამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი (150 ლარზე მეტი ღირებულების ზიანი), ქმედების ძირითადი შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი, ქმედების შემადგენლობა სრულად იქნება განხორციელებული, შეუძლებელია ვისაუბროთ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებაზე. ის რომ სახლის დაწვა ბოროტმოქმედს განზრახული ჰქონდა და შემდგომ თავიდან იქნა აცილებული სახლის ბოლომდე დაწვა, არ წარმოადგენს საკმარის პირობას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამორიცხვისთვის. ქმედების შემადგენლობის განხორციელება არ მოითხოვს სახლის სრულად დაწვას. ის რომ დამნაშავემ სახლის სრულად დაწვას.

⁸⁶ წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 198.

⁸⁷ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 344.

⁸⁸ აღნიშნულთან დაკავშირებით ვრცლად იხ. ცქიტიშვილი თ., რეცენზია ქ. მჭედლიშვილი-ჰედრისის ნიგნზე: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,

დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, შედარებითი სამართლის გერმანულ-ქართული ჟურნალი, 2019, #1; ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 299-303.

⁸⁹ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 348.

ლად დაწვა თავიდან აიცილა, მხოლოდ სასჯელის დანიშვნის დროს შეიძლება სათვალავში იქნას მიღებული. თუ ავტორს დავუჯერებთ, როცა პირი თავიდან განიზრახავს ორი ადამიანის მოკვლას და ერთის მოკვლის შემდეგ გადაიფიქრებს მეორის მოკვლას, დამნაშავე პასუხისმგებლობისგან უნდა გავათავისუფლოთ იმის გამო, რომ ხელი აიღო ორი ადამიანის მოკვლაზე და ორის ნაცვლად მოკლა მხოლოდ ერთი. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფარგლების ასეთი გაფართოება, რომელსაც ავტორი გვთავაზობს, ქმნის საშიშ ტენდენციას და იგი ვერ ჩაითვლება ადამიანის უფლების დაცვისკენ გადადგმულ ნაბიჯად. გარდა ამისა, საკითხზე მსჯელობის დროს სასურველი იყო მეტი კონკრეტული სსკ-ის 187-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის მიხედვით.

53. ლ. ხარანაული მიუთითებს, რომ განგრძობადი დანაშაული პირველივე აქტის განხორციელებისას იურიდიულად დამთავრებულია⁹⁰, რაც საკამათოდ უნდა მივიჩნიოთ. განგრძობადი დანაშაული იმით ხასიათდება რომ იურიდიულად განხორციელება, როგორც წესი, ერთზე მეტი აქტის განხორციელებას უკავშირდება. აქედან მომდინარეობს დანაშაულის განხორციელების ამ ტიპის სახელწოდებაც. დანაშაულის განხორციელება განგრძობად პროცესს წარმოადგენს, რომელიც ერთი აქტით არ ხორციელდება. თუმცა, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ განგრძობადი დანაშაულის იურიდიულად განხორციელება ყოველთვის შეიძლება არ მოითხოვდეს გამიზნული ყველა აქტის განხორციელებას.

54. განსახილველ მონოგრაფიაში მოცემული განმარტებით, განგრძობადი დანაშაულის

განხორციელება უკავშირდება უკანასკნელი აქტის განხორციელებას⁹¹. თუმცა ავტორი არ აკონკრეტებს, უკანასკნელ აქტში გულისხმობს ფაქტობრივად განხორციელებულ უკანასკნელ აქტს თუ გამიზნულ უკანასკნელ აქტს და როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი მაშინ, როცა განზრახული ყველა დანაშაულებრივი აქტი არ არის განხორციელებული, მაგრამ ფაქტობრივად განხორციელებული ქმედებები შეიცავენ ქმედების შემადგენლობის მინიმალურ წინაპირობებს. მაგალითად, დამნაშავეს გამიზნული ჰქონდა 5 ადამიანის მოკვლა, მაგრამ ფაქტობრივად მხოლოდ 3 ადამიანის მოკვლა შეძლო (სსკ-ის 109-ე მუხ.).

55. განგრძობად დანაშაულში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით ლ. ხარანაულს მოჰყავს ქურდობის მაგალითი, გამოთქვამს ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულების საწინააღმდეგო მოსაზრებას და მიუთითებს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საზღვრების გაფართოების შესაძლებლობაზე, იმას, რაც ქმედით მონაწილად მიიჩნევა, ავტორის თვალსაზრისით, სასურველია ეწოდოს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება⁹², მაგრამ მიზანშეწონილი იყო ავტორს საკითხი არ განეხილა ცალმხრივად და ემსჯელა დანაშაულთა ბუნების გათვალისწინებითაც, გაცა კითხვაზე პასუხი, საკითხის ისეთი გადაწყვეტა, როგორსაც ავტორი გვთავაზობს, რამდენად შესაძლებელია სხვა ტიპის დანაშაულებში, სადაც დანაშაულებრივი გეგმის თუნდაც ნაწილობრივ განხორციელება დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას უკავშირდება და შეიძლება სიკეთის დაზიანება შეუქცევად ხასიათსაც ატარებდეს.

⁹⁰ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 360.

⁹¹ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 361.

⁹² ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 361.